



**საერთო პირობების დანართ N23 - ანგარიშთა პაკეტში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:**

1. შეიცვალოს 7.5 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„7.5 SOLO ანგარიშთა პაკეტი, რომელიც თავის მხრივ იყოფა SOLO, SOLO X, SOLO FAMILY, SOLO CLUB, SOLO PAYROLL და SOLO INTERNATIONAL ანგარიშთა პაკეტებად.“
2. შეიცვალოს 14.3 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
14.3. სატელეფონო ცენტრი, რომლის ტელეფონის ნომერია:  
14.3.1. SOLO X ანგარიშთა პაკეტის შემთხვევაში (+995) 032 2 444 441;  
14.3.2. SOLO, SOLO CLUB, SOLO INTERNATIONAL, SOLO FAMILY ანგარიშთა პაკეტის შემთხვევაში (+995) 032 2 444 400.“
3. შეიცვალოს 15.1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„15.1 Visa კონსიერჟის მომსახურება (გარდა SOLO Family და SOLO X ანგარიშთა პაკეტით მოსარგებლე კლიენტისა). ამასთან:“
4. შეიცვალოს 15.3 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„15.3 Priority Pass ბარათი (გარდა SOLO X ანგარიშთა პაკეტით მოსარგებლე კლიენტისა) (ბარათის პირობები განსაზღვრულია პრივილეგიების მატარებელი არასაანგარიშსწორებო ბარათის - Priority Pass პირობებით, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე: [www.bankofgeorgia.ge](http://www.bankofgeorgia.ge)). ამასთან, SOLO CLUB ანგარიშთა პაკეტით მოსარგებლე კლიენტის მიერ American express Platinum ბარათის ფლობის შემთხვევაში Priority Pass ბარათის მომსახურების საფასური შედის American express Platinum ბარათის საკომისიოში.“
5. შეიცვალოს 16 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„16. SOLO ანგარიშთა პაკეტით სარგებლობა შეუძლია ბანკის იმ კლიენტს, რომელიც აკმაყოფილებს ბანკის მიერ დადგენილ, SOLO ანგარიშთა პაკეტით სარგებლობისთვის დაწესებულ, კრიტერიუმებს, გარდა SOLO PAYROLL პაკეტისა. ამასთან, SOLO ანგარიშთა პაკეტში შემავალი SOLO FAMILY ანგარიშთა პაკეტი განკუთვნილია SOLO (Solo, SOLO X, Solo Club, Solo International) ანგარიშთა პაკეტით მოსარგებლე კლიენტების ოჯახის წევრებისთვის (მეუღლე, და, მმა, დედა, მამა, შვილები 16 წლიდან), ხოლო SOLO PAYROLL სარგებლობისთვის სავალდებულოა ბანკსა და კლიენტის დამსაქმებელს შორის გაფორმებული იყოს სახელფასო პროგრამით სარგებლობის პირობები, რომლითაც გათვალისწინებული იქნება SOLO PAYROLL პაკეტით სარგებლობა, კლიენტის დამსაქმებელ კომპანიასთან შეთანხმებული პირობებით.“
6. შეიცვალოს 18 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„18. ნებისმიერი მიზეზით კლიენტისთვის SOLO (Solo, SOLO X, Solo Club, Solo International) ანგარიშთა პაკეტით მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში, ავტომატურად შეწყდება შესაბამისი კლიენტის ოჯახის წევრისთვის SOLO FAMILY ანგარიშთა პაკეტით მომსახურება.“